

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის

ოქმი N 8

ქ.ვანი თავისუფლების N65

28 ივნისი 2021 წელი

13:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მალხაზ ცერცვაძე, გელა ჩიკვაძე, ივანე კორძაძე, მერაბ ხურციძე, გია ხარაბაძე, გელა ვარდოსანიძე, დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი, შოთა გიორგაძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: გია ოჩხიკიძე, კობა ძაგნიძე, ტარიელ ბარამიძე, თამთა დვალიშვილი.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

მოწვეული პირები: საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია.**

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - მალხაზ ცერცვაძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე.**

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხს: ივანე მამფორია

დაადგინეს; დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსნებელმა ივანე მამფორიამ კომისიის წევრებს გააცნო „ვანის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსნებელმა განმარა, რომ ბიუჯეტში ცვლილება განპირობებულია სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მარტის N 330 განკარგულებაში, 2021 წლის 11 ივნისის N 969 განკარგულებით შეტანილი ცვლილებით, გამოყოფილი თანხის ბიუჯეტში ასახვის საჭიროებით.

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01) ასიგნება იზრდება 380,0 ათასი ლარით.

ზემოაღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის შემოსულობები განისაზღვრება 13091,8 ათასი ლარით, გადასახდელები 14392,3 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 1300,5 ლარის რედაქციით:

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭიყრაზე.

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არცერთი

გადაწყვეტეს;

წარმოდგენილი საკითხი გატანილი იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

მალხაზ ცერცვაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის თავმჯდომარე